



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 169

2025 წლის 14 ნოემბერი
ქ. გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანპორტის საგენტოს (ს/კ 418475992) 2024 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანპორტის საგენტოს (ს/კ 418475992) 2024 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანპორტის საგენტოს (ს/კ 418475992) 2024 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 47 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

მარლენ ნადირაძე



**გორის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპი „ტრანსპორტის სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“)
მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში (საანგარიშო პერიოდი 2024 ნოემბერი - 2025
ოქტომბერი.)**

„სააგენტო“ დაფუძნებულია გორის მუნიციპალიტეტის მერი 2020 წლის 13 ივლისის (ბრძანება #3993). ბრძანებით; საიდენტიფიკაციო კოდი 418475992; იურიდიული მისამართია გორი შინდისის გმირების გზატკეცილი მე-2 კილომეტრი.

„სააგენტო“-ში მუშაობს 163 ადამიანი, მ.შ. 14 შტატიანი თანამშრომელია (ანგარიშის წარდგენის დღისასთვის). სააგენტო ფუნქციონირებს საერთაშორისო კანონმდებლობის, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, გორის მუნიციპალიტეტის მერის დამტკიცებული წესდების, გორის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

„სააგენტო“-ს ბიუჯეტს ამტკიცებს და აკონტროლებს გორის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სააგენტოს დირექტორს ნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის მერი, „სააგენტო“-ს დირექტორი ანგარიშვალდებულია გორის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წინაშე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით და წარმოდგენილია „სააგენტო“-ს სამსახურებისა და სპეციალისტების გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმით.

„სააგენტო“-ს სტრუქტურა შედგება 4 (ოთხი) სამსახურისაგან გაერთიანებული სპეციალისტებისა და მათი ფუნქციონალურად გაერთიანებული ჯგუფებისაგან (მაგ. ფინანსური მენეჯერის ჯგუფი (2 ადამიანი), ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (HR მენეჯერი)-ს ჯგუფი (2 ადამიანი)
„სააგენტო“-ს მთავარი სტრუქტურული ქვეგანყოფილებებია:

- „ადმინისტრაციული სამსახური“
- „ექსპლუატაციის სამსახური“
- „მონიტორინგის სამსახური“
- „სადისპეჩეროს სამსახური“

დირექტორის მოადგილე

ექვემდებარება ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს და არის პასუხისმგებელი სააგენტოში დასაქმებულთა საქმიანობის კოორდინაციასა და ზედამხედველობაზე. მისი უფლებამოსილებები მოიცავს:

თანამშრომლების საქმიანობის მართვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;

სააგენტოში მიმდინარე სიახლეების და ცვლილებების განხილვა თანამშრომლებთან ერთად;

დამატებითი დავალებების დაკისრება საჭიროების შემთხვევაში; დისციპლინური ზომების აუცილებლობის შემთხვევაში წინადადებების წარმოდგენა დირექტორისთვის;

ინვენტარის, სტამბური პროდუქციისა და საკანცელარიო საქონლის შეძენის განაცხადების მომზადება; კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებით, შიდა წესებითა და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად სხვა უფლების განხორციელება. დირექტორის მოადგილის ყოველდღიური ფუნქციები მოიცავს:

1. ოპერაციების ყოველდღიური მონიტორინგი და მართვა;
2. სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ღონისძიებების დაგეგმვა;

3. თანამშრომლების საქმიანობის კოორდინაცია;
4. მგზავრთა მომსახურების ხარისხის მონიტორინგი;
5. ინციდენტებისა და უსაფრთხოების დარღვევების სწრაფი რეაგირება;
6. მონაცემთა შეგროვება და დირექტორთან კომუნიკაცია.

დირექტორის შვებულებისა და მივლინების პერიოდში მოადგილე აკონტროლებს ოთხ სამსახურს: ექსპლუატაციის სამსახური, სადისპეჩერო სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური, მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახური, უზრუნველყოფს მათი საქმიანობის სრულ მონიტორინგს და მართვას.

გაუმჯობესდა შიდა კოორდინაცია და ოპერატიული რეაგირება დირექტორის გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე პერიოდში ჩატარდა 13 დისციპლინური კომისია და 6 დისციპლინური მოკვლევა, მიღებული იქნა შესაბამისი ზომები; აქტიურად ჩართულია სატენდერო კომისიის საქმიანობაში.

დირექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის წინაშე, ზედამხედველობს ადმინისტრაციულ, ექსპლუატაციის, მონიტორინგისა და სადისპეჩერო სამსახურის საქმიანობას.

დირექტორის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, ავადმყოფობა, შვებულება) ასრულებს მის უფლებამოსილებებს. საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ბრძანებისა და შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მოადგილეს შეიძლება დაეკისროს დამატებითი უფლებამოსილებები.

დირექტორის თანშემწე

ექვემდებარება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს. უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. უზრუნველყოფს დირექტორის ყოველდღიური საქმიანობის დღის გეგმას; ტრანსპორტის სააგენტოში ორგანიზებას უწევს დაგეგმილ შეხვედრებს, საჭიროების შემთხვევაში ესწრება მათ; კომპეტენციის ფარგლებში, აწესრიგებს სააგენტოს დირექტორის დოკუმენტაციას;

ორგანიზებას უწევს სტუმრების მიღებას; ახდენს ოფიციალური წერილების მომზადებას და გაგზავნას, გასული და შემოსული წერილების/დოკუმენტაციის მიღება/გაგზავნას. ახორციელებს სააგენტოს დირექტორის მიერ პერიოდულად დაკისრებული სხვა ადმინისტრაციულ საქმიანობას. ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე, უშუალოდ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

ყოველდღიურად ახორციელებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მუნიციპალური სერვისების განვითარების (apps.gov.ge) პროგრამაში შემოსული დავალებების შესრულებას, წერილების მომზადებას და სხვა დოკუმენტაციის მომზადება გაგზავნას, პარალელურად ახდენს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ტრანსპორტის სააგენტოს მეილზე (tsaagento@gmail.com) შემოსული ინფორმაციის მართვას:

შპს „მაგთიკომთან“ ურთიერთობაში დირექტორის მიერ მონიჭებული უფლებამოსილებით და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ტრანსპორტის სააგენტოს მეილი (tsaagento@gmail.com) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შპს „მაგთიკომთან“ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების შესაბამისად, ყოველდღიური კომუნიკაცია მაგთიკომის ოპერატორთან, ცვლილება (ნომრების ლიმიტების დადგენა/შეცვლა, მათი დამატება/შემცირება, მომსახურების/დამატებითი სერვისების დამატება/გაუქმება/გადატანა, ჩართვა/გამორთვა, ტარიფების/პაკეტების გააქტიურება, მომსახურების სიჩქარის შეცვლა

და ა.შ.), ნებისმიერი სახის ინფორმაციის, გამოთხოვა მათ შორის ნომრების დეტალური ამონაწერი.

დირექტორის მიერ პერიოდულად დაკისრებული სხვადასხვა ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას, დირექტორის დავალებით თათბირების ორგანიზებას:

სააგენტოს ეფექტიან საქმიანობას როგორც შიდა ადმინისტრირების, ისე გარე კომუნიკაციის კუთხით.

ორგანიზებას უწევს ტრენინგების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრაციული საკითხების კოორდინაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტრენინგების ეფექტიანი განხორციელება და შესაბამისი კომუნიკაცია ყველა ჩართულ მხარესთან.

სამსახურის საჭირო ინფორმაციის დროული კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით ტრანსპორტის სააგენტოს ოფიციალურ WhatsApp- ჩათის მეშვეობით ახორციელებს ინფორმაციის გადაცემას.

2024 წლის ნოემბრიდან შესრულებული ძირითადი შედეგები:

- მომზადდა 175 წერილი/მოხსენებითი ბარათი სამსახურებრივ საკითხებზე;

2025 წლის ოქტომბრის მდგომარებით შესრულებული ძირითადი შედეგები:

- მომზადდა 154 წერილი/მოხსენებითი ბარათი სამსახურებრივ საკითხებზე.

დირექტორის თანაშემწის საქმიანობა მიმართულია სააგენტოს ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფაზე, როგორც შიდა ადმინისტრირების, ისე გარე კომუნიკაციის მიმართულებით.

დირექტორის თანაშემწე (გენდერული კუთხით)

ექვემდებარება ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს. უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. ახდენს, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის (GESI) /თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქმიანობის პროცესში ჩართულობას (რომელიც შემუშავდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით). საჭიროების შესაბამისად მოლაპარაკებებს ახორციელებს/აწარმოებს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან. ახორციელებს სააგენტოს დირექტორის მიერ პერიოდულად დაკისრებული სხვა ადმინისტრაციულ საქმიანობას. ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე, უშუალოდ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

ანგარიშგების პერიოდში მიმდინარეობდა მერიასთან სისტემური კომუნიკაცია, შეხვედრების კოორდინაცია შესაბამის საკითხებზე ინფორმაციის გაცვლა, გენდერული პოლიტიკისა ბიუჯეტის შეთანხმების მიმართულებით,, ბიუჯეტის საკითხების განხილვა საბოლოო ფინანსურ პარამეტრებზე.

აგრეთვე მონაწილეობდა გენდერული სტრატეგიის დაგეგმვასა და გატარებაში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

დირექტორის თანაშემწე (ტექნიკურ-ინფრასტრუქტურული მიმართულებით)

ექვემდებარება ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო"-ს დირექტორს. უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. უზრუნველყოფს დირექტორის ყოველდღიური საქმიანობის დღის გეგმას; ტრანსპორტის სააგენტოს შიდა ტექნიკურ-ინფრასტრუქტურული საქმიანობის განხორციელებას და სააგენტოს დირექტორისათვის ინფორმაციის დროული მიწოდებას; უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის (სამუშაო, მომსახურება) ტექნიკური დავალებების შესრულებას და მონიტორინგს; წარმართავს სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური, ინფრასტრუქტურული ფასეულობათა მოვლა-პატრონობისა და შესაძლო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებას და შესრულებას. განსაზღვრავს სამსახურის ტექნიკურ-ინფრასტრუქტურულ საქმიანობასთან დაკავშირებით სრულფასოვანი ფუნქციების უზრუნველყოფას

ადმინისტრაციის სამსახურის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის შემადგენლობაში შედიან: იურისტი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, საქმის წარმოების სპეციალისტი, სამეურნეო განყოფილების უფროსი, სამეურნეო განყოფილების სპეციალისტი, დამლაგებელი, მეეზოვე, გაყიდვების მენეჯერი, HR მენეჯერი, PR (ოფის მენეჯერი), ცხელი ხაზი. მატერიალური ტექნიკური საწყობის მენეჯერი, HR სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ადმინისტრაციული სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“ წესდების, ადმინისტრაციის დებულების და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. ახორციელებს სამუშაო დროის ჟურნალის აღრიცხვას,

ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.

ადმინისტრაციის უფროსი ადმინისტრაციის სპეციალისტებთან ერთად წყვეტს შესაბამისი სამსახურების საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს; იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

- დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, ადმინისტრაციას დაქვემდებარებული თანამშრომელთა უფლებამოვალეობებებს;
- შუამდგომლობს დირექტორთან იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა ადმინისტრაციის სამსახურების ამოცანების სათანადოდ შესასრულებლად;
- დირექტორს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხზე;
- დირექტორის ბრძანების შესაბამისად, კორდინირებასა და კონტროლს უწევს ბრძანებისა და დავალებების შესრულებას;
- ანაწილებს მოვალეობებს ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის და აძლევს მითითებებს, აუცილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ადმინისტრაციის კონკრეტული სპეციალისტის საქმე გადასცეს სხვა სპეციალისტს;

- უფლებამოსილია დირექტორს დასანიშნად წარუდგინოს ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების თანამშრომელთა კანდიდატურები;
- უფლებამოსილია დირექტორს წარუდგინოს წინადადებები ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში არსებული თანამშრომელთა წახალისება ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (HR მენეჯერი)

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (HR მენეჯერი) მისი უფლება მოვალეობები განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით, რომელიც მოიცავს: პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, მოწესრიგებას, ელექტონული რეესტრის შექმნას, აწარმოებს შემოსული განცხადებების რეესტრს და დირექტორის მითითებით, ახდენს შესაბამის რეაგირებას, განცხადების შინაარსიდან გამომდინარე;

დირექტორის მითითებით მიხედვით ახორციელებს თანამდებობრივ პოზიციებზე დანიშვნის ბრძანებებსა და ხელშეკრულებებს,

ასევე გათავისუფლების, ანაზღაურებად, ანაზღაურების გარეშე და დეკრეტული შვებულების, შვებულებიდან ვადაზე ადრე გამოსვლის, მივლინების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის, ანაზღაურების ზედმეტად გაცემის, თანამდებობრივი პოზიციის შეცვლის, ხელშეკრულების შეჩერებისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანებებს. 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით შესრულებულია 652 ბრძანება;

- ასევე ჩართულია სააგენტოში პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის პროცესში, აწესრიგებს საჭირო დოკუმენტაციას და ორგანიზებას უწევს სამუშაო დროის აღრიცხვას, შვებულების გრაფიკის შედგენასა და შესრულებას;
- ყველა თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას საკადრო საკითხებზე და თანამშრომელთა თხოვნის შესაბამისად, ამზადებს ცნობებს სამუშაო ადგილისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ;

2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის მაისის მდგომარეობით ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში დასაქმებულია 198 ადამიანი. აქედან:

- 14 შტატიანი 184 შტატგარეშე;
- ადმინისტრაციის სამსახური-25 ადამიანი;
- ექსპლუატაციის სამსახური- 35 ადამიანი;
- მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახური- 46 ადამიანი;
- სადისპეჩეროს სამსახური - 92 ადამიანი;

2025 წლის 01 ივნისიდან ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში განხორციელებული საშტატო ცვლილებიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურიდან კონტროლიორების გადასვლამ შეამცირა თანამშრომელთა რაოდენობა და ამჟამად, 2025 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით სააგენტოში დასაქმებული სულ 163 ადამიანი, აქედან:

- ადმინისტრაციის სამსახური -21 ადამიანი
- ექსპლუატაციის სამსახური - 33 ადამიანი
- სადისპეჩერო სამსახური - 92 ადამიანი
- მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახური -17 ადამიანი.

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი: მისი უფლება მოვალეობები განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით, რომელიც მოიცავს: პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, მოწესრიგებას, ელექტონული რეესტრის შექმნას, აწარმოებს შემოსული განცხადებების რეესტრს და დირექტორის მითითებით, ახდენს შესაბამის რეაგირებას, განცხადების შინაარსიდან გამომდინარე;

- დირექტორის მითითებით მიხედვით ახორციელებს თანამდებობრივ პოზიციებზე დანიშვნის ბრძანებებსა და ხელშეკრულებებს.
- ასევე გათავისუფლების, ანაზღაურებად, ანაზღაურების გარეშე და დეკრეტული შვებულების, შვებულებიდან ვადაზე ადრე გამოსვლის, მივლინების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, სავადმყოფო ფურცელზე ყოფნის, ანაზღაურების ზედმეტად გაცემის, თანამდებობრივი პოზიციის შეცვლის, ხელშეკრულების შეჩერებისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანებებს.

ფინანსური ანგარიში (01.11.2024 – 01.01.2025 წ.წ.)

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ფინანსური მენეჯერი და ერთი ბუღალტერი, მათი უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტი იანვრის თვეში შეადგენდა 4 464 000 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში დაკორექტირდა და საბოლოოდ 4 916 000 ლარი შეადგინა. რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 1 224 000 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 216 კაცს, აქედან 14 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 202 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2024 წლის ნოემბრის თვიდან დეკემბრის ჩათვლით გახარჯულია 1 287 132 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 46 072 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 492 130 ლარი;
- პრემია/დანამატი შტატიდან და შტატგარეშე თანამშრომლებისთვის - 151 914 ლარი;
- ოფისის ხარჯი- 36 476 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 241 330 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 276 273 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტენები) – 21 603 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 18 154 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 1500 ლარი;

- გადასახადები - 1680 ლარი;

2024 წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 198 024 ლარი.

საშუალოდ ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება მოცემულ პერიოდში შეადგენს 2,75 ლარი.

ფინანსური ანგარიში (01.01.2025 – 20.10.2025 წ.წ.)

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ფინანსური მენეჯერი და ერთი ბუღალტერი, მათი უფლებამოსილები განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტი იანვრის თვეში შეადგენდა 5 836 000 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში დაკორექტირდა და საბოლოოდ 6 452 500 ლარი შეადგინა. რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 582 000 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 184 კაცს, აქედან 14 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 170 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 20 ოქტომბრამდე გახარჯულია სულ 5 871 646 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 237 641 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 2 055 852 ლარი;
- ოფისის ხარჯი- 140 287 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 1 255 887 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 1 963 002 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტენები) – 59 883 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 92 872 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 7095 ლარი;
- მოსაკრებლები და გადასახადები - 27 920 ლარი;
- წარმომადგენლობითი, უნიფორმის შესყიდვა, სამედიცინო და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები - 31 207 ლარი.

2025 წლის 1 იანვრიდან - 20 ოქტომბრამდე საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 582 007 ლარი.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 47 795 ლარს.

საშუალოდ ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულებაა - 2,89 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი შესყიდვების სპეციალისტი მისი უფლება მოვალეობებანი განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შიდაგანაწესით.

2025 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისი ჩათვლით გაფორმდა 45 გამარტივებული ხელშეკრულება სხვადასხვა საფუძვლით.

2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით გაფორმდა 91 გამარტივებული ხელშეკრულება სხვადასხვა საფუძვლით.

შესყიდვის საფუძვლები:

განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებები

აზია სერვისის ხარჯი არის მთავარი სამოქმედო გეგმა და მომავალი 6 თვის შემდგომაც.

- 285902,86 ლარი
- ✓ 5400 ლარი
- ✓ 800000 ლარი სამი ხელშეკრულების ღირებულება ჯამში 1841302,86
- ✓ 450000 ლარი
- ✓ 300000 ლარი, წლის ბოლომდე და ეს არის ბოლო ხელშეკრულება 26 დადგენილების ფარგლებში
- ✓ დამატა ახალი ხელშეკრულება აზია სერვისთან , რომელიც მომზადდა და ძალაშია წლის ბოლომდე 300 000 ლარიანი.

ისუფუ .



40525 ლარი

საბურავების ხარჯი

CMR250054811 გამართივებული მესყიდვა
შემსყიდველი: გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო (418475992)
მიმწოდებელი: მეკადა-2015 (417887086)
 ერთლიანი ხელშეკრულება (მესრელეული ხელშეკრულება)
34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
თანხა: 1'100.00 GEL
CMR250042246 გამართივებული მესყიდვა
შემსყიდველი: გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო (418475992)
მიმწოდებელი: ციალა გოვლიძე (59001053827)
 ერთლიანი ხელშეკრულება (მესრელეული ხელშეკრულება)
31400000 - ავტოლატორები, დეჩის პირველადი ნაწარები და პირველადი ელემენტები
34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
თანხა: 10'710.00 GEL
CMR250038947 გამართივებული მესყიდვა
შემსყიდველი: გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო (418475992)
მიმწოდებელი: მეკადა-2015 (417887086)
 ერთლიანი ხელშეკრულება (მესრელეული ხელშეკრულება)
34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
თანხა: 1'260.00 GEL

ამას ემატება კონსოლიდირებული ხელშეკრულებები ჯამური ღირებულებით, 15000+4780+3220+11600+1410, 36010 ლარი ჯამში. სულ საბურავზე დაიხარჯა 1100+10710+1260+36010, 49080 ლარი, არის საუბარი რომ ეს რაოდენობა შეიძლება არ იყოს საკმარისი.

ამას ემატება მათი რეცხვის ხარჯი თვეში 24150,50
ამას ემატება საწვავის ხარჯი თვეში საშუალოდ 128784
ასევე ემატება ტეხასმოტრის ხარჯი 8000 ლარი წლის განმავლობაში

შესყიდვის საფუძველი კონსოლიდირებული ტენდერი:

1.კონსოლიდირებული ტენდერი დიზელზე CON240000582, 1456152 ლარი

2.კონსოლიდირებული ტენდერი პრემიუმზე CON240000584-00559, 76890 ლარი
საწვავში გათვალისწინებულია 1533042 ლარი ჯამში მთელი წელი ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე.

3.კონსოლიდირებული ტენდერი CON240000271 ზეთის შეცვლაზე, მსუბუქ ავტომობილებზე, 6372.90 ლარი, მთელი წლის განმავლობაში.

სამომავლოდ უნდა ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს რომ, ავტოპარკის შენახვა მხოლოდ რემონტი, გეგმიური და გაუთვალისწინებელი ახალი ავტობუსების დაჯდება ყველაზე მცირე თვეში 150 000 (ყველაზე მცირე) 1800 000 ლარი არის ისეთი ხარჯი რაც გარდაუვალია, ამას დაემატება საბურავების ხარჯი, ამას ემატება მსუბუქი ავტომობილების მოვლის ხარჯი, ზოგი მანქანა საერთოდ ჩამოსაწერია უკვე და მათი გაკეთება/რემონტი მოკლებულია ახსნას და სადაო გახდება სამომავლოდ აუცილებლად, ამას ემატება საწვავის ხარჯი რომელიც წელს 1456152 ლარს შეადგენს, 4000 000 მილიონი გამოდის მარტო რემონტის ხარჯი ამას ემატება კიდევ ავტოპარკის რეცხვის ხარჯი, რომელიც 5 წელია ხელშეკრულებით აგვყავს და ამ თანხით ვიყიდით დანადგარს (მოვაწყობდით სამრეცხაოს), აღნიშნული თანხა 300 000 ლარს (ესეც გარდაუვალი ხარჯია) დაარსების დღიდან დღემდე ავტობუსები ირეცხება ყოველ დღე (ეს ფაქტია) ასევე სააგენტო წელს გახდა 5 წლის რაც იმას ნიშნავს რომ მთავარი კონტრაქტორი ჩვენი კარგავს უპირატესობას (აზიასერვისი)

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 26 2011 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი**

**ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების
ან/და გარანტიის პირობების დიდგენის შესახებ,
რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული
შესყიდვის საშუალებით**

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა; (15.02.2011 N 79)

ბ) საქართველოში ან საზღვარგარეთ არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის ქვეყანაში ოფიციალური დილერის ან მწარმოებლის გარანტიის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა. (15.02.2011 N 79)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჭირო გახდება სერიოზული დაგეგმარება სამომავლო მოქმედებების ვინაიდან შესყიდვების სპეციალისტი ვერ იმუშავებს ფორსმაჟორულ სიტუაციაში, ვინაიდან საქმე ეხება ტრანსპორტს, რომლის ქალაქში მოძრაობა გაწერილია გეგმით და ემსახურება ხალხს. აზია სერვისი აღარ იქნება ერთადერთი კონტრაქტორი რომლის წინაშეც ვალდებულები ვართ დავდეთ ხელშეკრულება იმ საცალო ფასებზე (პრეისკურანტი) რომელსაც ის გვთავაზობს, უკვე შესაძლებელი გახდება მოვიძიოთ ბაზარი და ადგილობრივ დონეზეც კი მოხდეს კომპანიის მოძიება, თუმცა აქვე უნდა ითქვას რომ მწარმოებელი კომპანია გარკვეული ტიპის ნაწილებზე ექსკლუზივს მხოლოდ აზია სერვისის მისცემს და გარკვეულ პოზიციებს მხოლოდ მას მიყიდის, ხოლო

არსებობს ნაწილები რომლებსაც აზიის გარდა სხვებიც მოიძიებენ, ამიტომ სწორ ბიუჯეტის დაგეგმარებასთან ერთად შესამუშავებელია სამომავლო შესყიდვების მუშაობის სტილი, აღნიშნული საკითხი სცდება კანონში ჩამოთვლილ შემთხვევებს და არის ახალი გამოწვევა არა მხოლოდ ქალაქ გორისთვის არამედ სხვა თვითმმართველი ქალაქებისთვისაც.

იურისტი

იურისტის კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოში განხორციელდა ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც შრომით ხელშეკრულებით სააგენტოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს/მერიის სამართლებრივი აქტებით აქვს მინიჭებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მუდმივ რეჟიმში ხორციელდება უზრუნველყოფა, „სააგენტოს“ ყველა დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, შიდაუწყებრივი დოკუმენტების პროექტების შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, მომზადებულ იქნა სამართლებრივ დასკვნები შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე.

ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ თანამდებობრივ პოზიციათა ცვლილების, გაუქმების ან დამატების შესაბამისად (როგორც შტატის იხვევ, შტატგარეშე თანამშრომელთა შემთვევაში) განხორციელდა დებულებების ცვლილება/განახლება, რომელიც განსაზღვრავს ტრანსპორტის სააგენტოს შემადგენლობაში არსებული თითოეული სამსახურის - ადმინისტრაციული სამსახურის, ექსპლუატაციის სამსახურის, მონიტორინგისა და მგზავთა უსაფრთხოების სამსახურის, თანამშრომელთა სამართლებრივი სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს, ანგარიშვალდებულებას, სამსახურების ფუნქციებს, სამუშაო აღწერილობებს, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

ასევე, შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდა შრომის შინაგანაგანაწესის ცვლილება, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-სა და სააგენტოში დასაქმებულ პირებს შორის. შრომის შინაგანაწესით განსაზღვრულია ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლების უფლება - მოვალეობანი, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტები, სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინარული ღონისძიებების გამოყენების წესები, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ექვემდებარება შრომის შინაგანაწესით რეგულირებას.

პერიოდულად შემუშავდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და დოკუმენტაციის წარმოება, რითაც განსაზღვრულია,

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და დოკუმენტაციის წარმოებას, რაც ასევე მოიცავს საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის გამოთხოვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის

გორის რაიონული სამმართველოდან მასალების გამოთხოვას ასევე, ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ რეაგირების მოხდენაზე შესაბამის მიმართვას და საბოლოო ჯამში ბრალეულობის დამტკიცების შესაბამისად შესაბამისი ქმედებების განხორციელებას მათ შორის მხარეთა შორის შეთანხმებების აქტის (დოკუმენტის) გაფორმებას სააგენტოს ქონების დაზიანების შემთხვევაში გამოვლენილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ;

საჭიროების შესაბამისად, განხორციელებულ იქნა, ტრანსპორტის სააგენტოს პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, თანამშრომელთა შორის უფლებამოსილებების გადანაწილების, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დადგენისა და სახელფასო სარგოს ზრდის შესახებ ბრძანებების, სამსახურობრივი საჭიროების მიზნიდან გამომდინარე შტატების დამატების, ან გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. საკადრო საკითხებზე (სამუშაოზე მიღება, გათავისუფლება, გადაყვანა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, თანამდებობრივ სტატუსში, სარგოში ცვლილების შეტანის და შრ. ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ და ა.შ.) ბრძანებათა პროექტების მომზადება, დამუშავება და საბოლოოდ, მისი მოქმედებაში ასახვა. მზადდება და გაიცემა ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რომელიც ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლებისთვის არის წარსადგენი, სხვადასხვა უწყებაში თუ შიდა ზემდგომი ხელმძღვანელისთვის, მათ შორის ცნობების სამუშაო ადგილის შესახებ, მივლინების ფურცლები, მინდობილობების საჭიროების ადგილზე წარსადგენად და ა.შ.

აგრეთვე, სააგენტოში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს, რომელიც ჩართულია მის პროფესიულ განვითარებაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეწყობის მიზნით (სასწავლო კურსში/საგამოცდო პროცესში მონაწილეობის გამო) სალექციო პროგრამის ფარგლებში - საგამოცდო საათების მიმდინარეობის პერიოდში დაუწესდათ შეღავათი, რომელიც ჩაითვალა სამუშაო დროში და ანაზღაურდა კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი წესით.

გარდა ამისა, მუდმივ რეჟიმში შემუშავდა შრომითი ხელშეკრულებების ინდივიდუალური ნიმუშები, დოკუმენტები სხვადასხვა თანამდებობრივი პოზიციის გათვალისწინებით და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში, მიმდინარეობს ეტაპობრივად მათი ცვლილებები და დოკუმენტის ხარისხის გაუმჯობესება.

მზადდება და მუშავდება სააგენტოს მხრიდან წარსადგენი, გასაგზავნი ოფიციალური წერილები. გაფრთხილების აუცილებლობიდან გამომდინარე, თანამშრომლების მიმართ პირადად ხდება შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართვა.

მიმდინარე წელს განხორციელდა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს წესდებაში ცვლილება, რის შედეგადაც სააგენტოში ჩამოყალიბდა (შეიქმნა) სადისპეჩეროს სამსახური,

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ნოემბრის №50 დადგენილების („გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად, გათვალისწინებული მარშრუტების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო რაოდენობის ტექნიკურად გამართული მოძრავი შემადგენლობით, ჩამოყალიბდა/განისაზღვრა მათი საქმიანობის წესი - განყოფილების დებულება, გაიწერა განყოფილებაში შემავალ პოზიციათა ნუსხა მათი პოზიციებისთვის დამახასიათებელი საქმიანობის სფერო. ცვლილება განიცადა სხვადასხვა შიდასამართლებრივმა აქტებმა-დებულებებმა, შინაგანაწესმა, თანამდებობრივმა ინსტრუქციებმა.

აგრეთვე, განხორციელდა მოლაპარაკებები სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან სარეკლამო საქმიანობის განხორციელების მიზნით, რაც საბოლოო

ჯამში, დასრულდა ქირავნობის ხელშეკრულებათა გაფორმებით, ასევე, მოლაპარაკებით (შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით) დასრულდა შპს „აზია სერვის“-თან ხელშეკრულების დადებამდე არსებული პრობლემატიკური საკითხები, რის შესაბამისად, ხორციელდება სააგენტოს ბალანსზე არსებული 30 (ოცდაათი) ცალი საქალაქო ტრანსპორტის/ავტობუსების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება, ასევე შემსყიდველის მხრიდან სწორი ექსპლუატაციისა და საგარანტიო პირობების შესრულება/დაცვისთვის პერიოდული ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და სახარჯი მასალების, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდება (შემდგომში - მომსახურება).

საჭიროებამებრ განხორციელდა, სატენდერო კომისიების ჩამოყალიბება, მათში ცვლილებების შეტანა, საქმიანობის წესის განსაზღვრა, ასევე დისციპლინურ კომისიის შემადგენლობათა ცვლილება, საქმიანობის წესის განსაზღვრა.

დამატებით, გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 მაისის №11 დადგენილების შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილება, (რომელიც ამოქმედდება მიმდინარე წლის 01 ივნისიდან) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ნოემბრის №47 დადგენილებაში, რის შესაბამისადაც, საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალურ ინსპექცია“-ს (ს/ნ 41841011),

შესაბამისად, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“ აღარაა სათანადოდ უფლებამოსილი პირი და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლიორთა თანამდებობრივი პოზიცია აღარ ექვემდებარება ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს, ისინი გადაყვანილ იქნენ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალურ ინსპექციი“-ს დაქვემდებარების ქვეშ, აქედან გამომდინარე, შეწყვეტილ იქნა და შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ დოკუმენტები გაფორმდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის, რითაც ტრანსპორტის სააგენტოს აღარ აქვს სამართალდამრღვევ პირებთან მიმართებაში მათ ინფორმაციებზე დაშვების უფლებამოსილება.

სამსახურობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სრული დატვირთვით ხორციელდება ყველა სამართლებრივი თუ არასამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, აგრეთვე სააგენტოს შემადგენლობაში შემავალ თითოეულ სამსახურში (ადმინისტრაციული, ექსპლუატაციის, მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის) მომზადებულ დოკუმენტთა უშუალოდ „იურისტთან“ კოორდინირებით (ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში „ვიზირების“ ან სხვა თვალსაზრისით) სააგენტოს დირექტორისთვის წარდგენა.

პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას, მონაცემთა დამუშავებასთან

დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას,

აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს, ხოლო მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

კანცელარიის სპეციალისტი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი საქმის წარმოების სპეციალისტი, მისი უფლება მოვალეობანი განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სააგენტოს წესდების და წინამდებარე დებულების შესაბამისად სხვა ფუნქციებს და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წინაშე.

2023 წლის 16 თებერვლიდან ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო გადავიდა ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის პროგრამაზე; MSDA / მუნიციპალური სერვისების განვითარების პროგრამა; (apps.gov.ge)

ახალი პროგრამიდან გამომდინარე კანცელარიაში ხდება მატერიალურად შემოსული თუ გასული კორესპონდენციის ,როგორც პროგრამაში გატარება ასევე მატერიალური ფორმით შენახვა. მთლიანობაში პროგრამაში და მატერიალური ფორმით აღრიცხული კორესპონდენცია შემდეგია:

2025წ.

- ელექტრონულად შემოსული წერილი 89
- ელ. გასული წერილი 128

კანცელარიაში შემოსული განცხადება 397

იმავედროულად შესაბამისობაში ლაგდება საარქივო მასალების დაკომპლექტება

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურში დასაქმებულია ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სპეციალისტი, მისი უფლება მოვალეობებანი განსაზღვრულია ადმინისტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

ასრულებს სააგენტოს ოფიციალური ფეისბუქ - გვერდის (<https://cutt.ly/3TDGhmW>) მუდმივ ოპერატიულ განახლებას, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს კომუნიკაციას

მოქალაქეებთან სააგენტოს ოფიციალური ფეისბუქ - გვერდის მეშვეობით (დღის განმავლობაში საშუალოდ 10-15 ზარი)

უზრუნველყოფს აქტიურ თანამშრომლობას საზოგადოებასთან, მედიასთან საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქებას, პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს სააგენტოში

განხორციელებული ღონისძიებების პოპულარიზაციას. ასრულებს ზემდგომი თანამდებობის პირების მითითებებს.

ამ პერიოდის 2024 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა

ორგანიზაციებიდან თუ კერძო სუბიექტებისგან შემოვიდა 10 წერილი საჯარო ინფორმაციის გათხოვის საკითხზე. 10 (ათი) წერილის მოთხოვნაზე პასუხი გაცემული და დაკმაყოფილებულია

გაყიდვების მენეჯერი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის გაყიდვების მენეჯერის თანამდებობრივი პოზიცია. სააგენტოს შიდა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, გაყიდვების მენეჯერის პოზიცია ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორისა და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წინაშე.

გაყიდვების მენეჯერის უფლებამოსილებაში შედის სააგენტოს ბალანსზე არსებული უძრავ/მოძრავი ქონების გაყიდვა/გაქირავების შესახებ ინფორმაციის მიღება და დამუშავების უზრუნველყოფა კლიენტებთან გასაუბრება, კომუნიკაციის დამყარება და მოლაპარაკებების წარმოება.

მიმდინარე წლის 28.01.2025-06.02.2025 რიცხვში 18 (თვრამეტი) ლოტად სადაც მსურველმა ფიზიკურმა პირმა ლელა სუარიშვილმა 1 (ერთი) ლოტში (3 კვ/მ 5 ერთეულ ავტობუსზე) გაიმარჯვა, აღნიშნულ პირთან მიმდინარე წლის 17.02.2025 რიცხვში გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება 1 (ერთი) წლის ვადით, საიდანაც ტრანსპორტის სააგენტოს ბიუჯეტი შეივსო 1056 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის 06.02.2025-13.02.2025 რიცხვში 16 (თექვსმეტი) ლოტად სადაც მსურველმა ფიზიკურმა პირმა ალლა სეროფიანმა 3 (სამი) ლოტში (1ლოტი: 3კვ/მ, 2ლოტი: 13.5 კვ/მ, 3ლოტი: 4.32 კვ/მ 21 ერთეულ ავტობუსზე) გაიმარჯვა, აღნიშნულ პირთან მიმდინარე წლის 20.02.2025 რიცხვში გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება 6(ექვსი) თვის ვადით, საიდანაც ტრანსპორტის სააგენტოს ბიუჯეტი შეივსო 4082.76 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის 02.04.2025-09.04.2025 რიცხვში 2 (ორი) ლოტად სადაც მსურველმა ფიზიკურმა პირმა ალლა სეროფიანმა 2 (ორი) ლოტში (1ლოტი:

25.06კვ/მ, 2ლოტი: 15.25 კვ/მ, 19 ერთეულ ავტობუსზე) გაიმარჯვა, აღნიშნულ პირთან მიმდინარე წლის 16.04.2025 რიცხვში გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება 3(სამი) თვის ვადით, საიდანაც ტრანსპორტის სააგენტოს ბიუჯეტი შეივსო 4434.10 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის 28.07.2025-01.08.2025 რიცხვის ჩათვლით ვასრულებდი „ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტის გიორგი დაბოსნიძის შვებულებაში ყოფნის პერიოდში მის ფუნქცია-მოვალეობებს სააგენტოს დირექტორის მიერ გაცემულ ცალკეულ დავალებებს და განკარგულებებს.

ცხელი ხაზი

2025 წლის 1 აგვისტომდე 2025 წლის აგვისტოდან ცხელი ხაზი გადაყვანილ იქნა მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაში

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედიოდა ცხელი ხაზის თანამდებობრივი პოზიცია. სააგენტოს შიდა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, პოზიცია ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორისა და მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წინაშე. ცხელი ხაზის მოვალეობების შესაბამისად ხორციელდება ზარების იდენტიფიცირება და გადამისამართება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება გამავალი ზარის განხორციელება მოქალაქეებთან, რათა საზოგადოების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება უფრო მარტივად მოხდეს.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, იწარმოება შიდა მონაცემთა ბაზების მუშაობა, სატელეფონო მომსახურების გაწევისა და შემდგომი პრობლემათა აღმოფხვრის საჭიროების მიზნით.

საბოლოო ჯამში შემოსული ზარების ოდენობა არის ცვალებადი და დღის განმავლობაში 10-1 ზარი აღწევს შემოვიდა 600 ზარი.

